



მედიაანონსი

#ევროპისდღე2017 ქუთაისში

2017 წლის 4 მაისს, ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი და საქართველოს პარლამენტის წევრები ევროპის დღის აღნიშვნას დაესწრებიან.

ღონისძიებები დაიწყება 15:00 საათზე, საჯარო ლექციით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა და პარლამენტის წევრი გიორგი კანდელაკი, ისაუბრებენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ შეთანხმებაზე ასოცირების შესახებ და საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.

17:00 საათზე, სტუმრები ეწვევიან ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკს, სადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ევროკავშირის ელჩი გამოავლენენ ახალგაზრდული თამაშის „ჩემი ევროპული თავგადასავალი“ გამარჯვებულებს. ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს პარლამენტის წევრები.

თამაშში „ჩემი ევროპული თავგადასავალი“ მონაწილეობს ქუთაისის სკოლების მოსწავლეებისაგან შემდგარი 15 გუნდი (სულ 150 მოსწავლე). სამი საათის განმავლობაში ახალგაზრდული გუნდები ევროკავშირის შესახებ ცოდნაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი, რომელიც ევროკავშირის დროშაზე არსებული ვარსკვლავების საჭირო რაოდენობის შეგროვებას პირველი შეძლებს. გამარჯვებულთა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია შედგება პარლამენტის შენობაში, თბილისში, 2017 წლის 11 მაისს.

ევროკავშირის დღე ქუთაისში დასრულდება ბენდ „მუზეუმის“ ღია კონცერტით. ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ქუთაისში ჩატარებული #ევროპისდღე2017 საქართველოს პარლამენტის მიერ დაგეგმილი ევროპის კვირეულის ნაწილია. აღნიშნულ საქმიანობას პარლამენტი ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით. პარლამენტის მიერ დაგეგმილი ევროპის კვირეული მოიცავს საჯარო ლექციებს საქართველოს რვა უნივერსიტეტში და ახალგაზრდულ ღონისძიებებს ქუთაისში. კვირეული დასრულდება ევროპის დღის აღსანიშნავად გამართული ოფიციალური მიღებით 11 მაისს, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უმასპინძლებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ანა გოჩაშვილი, საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი + 995 32 2289095, agochashvili@parliament.ge

თამარ მიქაძე, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში + 995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu

სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org